ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისფ

სიქოლოგიისადაგანათლებისმეცნიერებათაფაკულტეტისსაბჭოსსხდომის

ოქმი N 15

01.12. 2021

განსახილველი საკითხები:

1. 2022-2023 სასწავლო წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარების დამტკიცება;

2. ცვლილებები სადოქტორო პროგრამაში" განათლების მეცნიერებები" - ემატება 5 ახლი არჩევითი კურსი;

3. სხვა:
   ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის დაწესება.

ფაკულტეტისსაბჭოსსხდომაგაიმართაონლაინ, ზუმის აპლიკაციის მეშვეობით.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებულიმასალებიწინასწარგაეგზავნათსაბჭოსწევრებს.

ესწრებოდნენ:

საბჭოსთავჯდომარე: პროფესორითამარგაგოშიძე

ფაკულტეტისსაბჭოსწევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი, ია კუტალაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი.

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, მაია მესტვირიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, ია აფთარაშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე

ასისტენტ პროფესორები:

თეონა ლოდია

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა 18 წევრი.

განიხილეს:

1. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წარუდგინა პირველი საკითხი, რომელიც ეხებოდა 2022-2023 სასწავლო წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარების დამტკიცებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ არჩევით საგნებს დაემატა მესამე არჩევითი საგანი: ბიოლოგია. აბიტურიენტებს აქვს შესაძლებლობა, რომ მესამე არჩევით საგნად ჩააბარონ: მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა ჯამში შეადგენს 225 ადგილს, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -65;
- ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით -95;
- ადგილების რაოდენობა ბიოლოგიის მიხედვით -65;

საბჭომ კენჭი უყარა 2022-2023 სასწავლო წლის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას;ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს დაემატოს მესამე არჩევითი საგანი: ბიოლოგია. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მიხედვით მისაღები ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -65; ადგილების რაოდენობა ისტორიი მიხედვით -95; ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -65.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2022-2023 სასწავლო წლის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ანკეტა-კითხვარი;ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს დაემატოს მესამე არჩევითი საგანი: ბიოლოგია და ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს:

ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -65; ადგილების რაოდენობა ისტორიი მიხედვით -95; ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -65.

ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს, ასევე წარუდგინა „მულტილინგვური განათლება-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ 2022-2023 სასწავლოწლის ანკეტა-კითხვარი. პროგრამაზე მისაღები ადგილების ჯამური რაოდენობაა -50. განაწილება საგნების მიხედვით:

- ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -25;
- ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით -25.

საბჭომ კენჭი უყარა „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ 2022-2023 წლის ანკეტა-კითხვარს.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ 2022-2023 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი. ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი განაწილებით: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -25; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით -25.

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა 2022-2023 წლის ანკეტა-კითხვარი „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის“. პროგრამაზე მისაღები ადგილების ჯამური რაოდენობაა -100. განაწილება საგნების მიხედვით:

-ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -60;

-ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით -40.

საბჭომ კენჭი უყარს:„დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ 2022-2023 წლის ანკეტა-კითხვარს.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“2022-2023 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი. ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი განაწილებით: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -60; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით -40.

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა„ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო პროგრამის 2022-2023 წლის ანკეტა-კითხვარი.პროგრამაზე მისაღები ადგილების ჯამური რაოდენობაა -20. განაწილება საგნების მიხედვით:

- ადგილების რაოდენობა ფიზიკის მიხედვით -6;
- ადგილების რაოდენობა ქიმიის მიხედვით -6;
- ადგილებისრაოდენობამათემატიკისმიხედვით -8;

საბჭომ კენჭი უყარა „ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო პროგრამიის2022-2023 წლის ანკეტა-კითხვარს.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2022-2023 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი„ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო პროგრამისათვის და ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი

განაწილებით: ადგილების რაოდენობა ფიზიკის მიხედვით - 6; ადგილების რაოდენობა ქიმიის მიხედვით -- 6; ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით -8.

2. ცვლილებები სადოქტორო პროგრამაში :"განათლების მეცნიერებები" –5 ახალი არჩევითი კურსის დამატება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა 5 ახალი ინგლისურენოვანი კურსი, რომელიც უნდა დაემატოს სადოქტორო პროგრამას „განათლების მეცნიერებები“. ეს კურსებია:
SCIENTIFIC STRUCTURES AND THEORIES OF VOCATIONAL EDUCATION (პროფესიული განათლების მეცნიერული სტრუქტურები და თეორიები);
VET RESEARCH METHODS (VET კვლევის მეთოდები);

Teaching and Learning in Natural and Virtual Learning Environments (სწავლა და სწავლება ბუნებრივ და ვირტუალურ სასწავლო გარემოში);

HUMAN RESOURCE DEVELOPMENT AND PERSONNEL DEVELOPMENT (ადამიანური რესურსის და პერსონალის განვითარება);

VOCATIONAL EDUCATION FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT (პროფესიული განათლება მდგრადი განვითარებისთვის).

საბჭომ კენჭი უყარა ახალი არჩევითი კურსების დამატებას სადოქტორო პროგრამისთვის - „განათლების მეცნიერებები“.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: სადოქტორო პროგრამას „განათლების მეცნიერებები“ დაემატოს ხუთი ახალი არჩევითი კურსი -SCIENTIFIC STRUCTURES AND THEORIES OF VOCATIONAL EDUCATION (პროფესიული განათლების მეცნიერული სტრუქტურები და თეორიები);
VET RESEARCH METHODS (VET კვლევის მეთოდები);

Teaching and Learning in Natural and Virtual Learning Environments (სწავლა და სწავლება ბუნებრივ და ვირტუალურ სასწავლო გარემოში);

HUMAN RESOURCE DEVELOPMENT AND PERSONNEL DEVELOPMENT (ადამიანური რესურსის და პერსონალის განვითარება);

VOCATIONAL EDUCATION FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT (პროფესიული განათლება მდგრადი განვითარებისთვის).

სხვა:

3. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის დაწესება.
   ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ სადოქტორო პროგრამებს: „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“, „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ გასდით აკრედიტაციის ვადა 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად ამ პროგრამების დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური, დაჩქარებული წესით უნდა დასრულდეს სემესტრი და საგამოცდო პერიოდი. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ სასწავლო სემესტრი აღნიშნული პროგრამებისთვის დასრულდეს 21 დეკემბერს, ხოლო საგამოცდო პერიოდი კი 29 დეკემბერს.

   კენჭი უყარეს წინადადებას:სადოქტორო პროგრამების „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ და „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ სტუდენტებისთვის სემესტრი დასრულდეს 21 დეკემბერს, ხოლო საგამოცდო პერიოდი კი - 29 დეკემბერს.

   მომხრე: 18

   წინააღმდეგი: 0

   თავიშეიკავა: 0

   დაადგინეს: სადოქტორო პროგრამების „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ და „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური დაჩქარებული წესით სემესტრი დასრულდეს 21 დეკემბერს, ხოლო საგამოცდო პერიოდი კი - 29 დეკემბერს.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე



საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია